

საგანმანათლებლო პროგრამების როლი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში

გვანცა ჩიხლაძე

*სადიპლომო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე კულტურის მენეჯერის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ვაჩიშვილი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა ჩიხლაძე

27/06/2016

აბსტრაქტი

დღეს უკვე არაერთმა ფაქტორმა განაპირობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხის აქტუალობა. ეს პრობლემა ფართოდ წამოიჭრა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში და მრავალი ორგანიზაცია თუ სახელმწიფო დაწესებულება მუშაობს მის გადასაჭრელად. ამ პროცესის საწინააღმდეგოდ მნიშვნელოვან გზად სწორედ განათლება და საგანმანათლებლო პროგრამები წარმოადგენს.

აღნიშნული პრობლემის არსებობა ნიშნავს, რომ ჩვენს საზოგადოებას არ აქვს გაცნობიერებული ის უმნიშვნელოვანესი როლი, რაც კულტურულ მემკვიდრეობას ენიჭება ქვეყნის სწორად განვითარების პროცესში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მივიჩნიე განმეხილა ის საგანმანათლებლო პროგრამები, რაც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება და არა მხოლოდ საქართველოში. მნიშვნელოვანია ასევე ის გამოცდილება, რაც საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებს აქვთ, ამ კუთხით.

ზემოთ აღნიშნული პრობლემის საკვლევად ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ეს კი დამეხმარა გავცნობოდი უშუალოდ განხორციელების პროცესს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. როგორც აღმოჩნდა, ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს დაფინანსება, რათა განხორციელდეს უფრო ფართო მასშტაბის საგანმანათლებლო პროექტები. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროექტები არ არის საყოველთაო ხასიათის. ამის მიზეზს სკოლებთან თანამშრომლობის არარსებობა წარმოადგენს.

უმნიშვნელოვანესი გავლენა მოახდინა ჩემი კვლევის ჩამოყალიბებაში UNESCO-ს საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტის ანალიტიკურმა კვლევამ. ეს პროექტი ახორციელებს კულტურული მემკვიდრეობის და მისი მნიშვნელობის პოპულარიზაციას სხვადასხვა მიმართულებებით.

მნიშვნელოვანია თითოეულმა ჩვენგანმა გააცნობიეროს კულტურული მემკვიდრეობის როლი ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, თუ პოლიტიკურ ცხოვებაში. ამის მიღწევა კი უპირველესად განათლებით და ჩვენი ცნობიერების ამაღლებით არის შესაძლებელი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საგანმანათლებლო პროექტები; კულტურული მემკვიდრეობა;

Abstract

A lot of factors have conditioned actuality of heritage protection. This problem has arrived widely, not only for Georgia, but the whole world and too many organizations and state institutions are working to solve it. The main way against this process is education and education programs.

Being this problem means that our society not acknowledged the most important role, what cultural heritage has for country progress. So, I considered to discuss the education programs which are doing in our country and not only in Georgia. Also important international education programs experience.

I took interview from protection and development of cultural heritage of Georgia and Georgian national museum for finding the problem. It helped me first-hand view of working process and related problems. As it turned out the major problem of wide education projects realization is finances. It's important that those projects aren't general and the reason is no cooperation with schools.

UNESCO world heritage education program's analytical research played the most important role for my research formation. This program seeks world heritage preservation and promotion.

It's important each of us to realize cultural heritage role in social-economic and politic life of our country. It's possible to reach first of all education and our knowledge.

The key words: education programs; cultural heritage.

მადლობა

უპირველესად, უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ბ-ნ ნიკა ვაჩიშვილს გაწეული დახმარებისთვის. ხელმძღვანელის მიერ მოცემულმა მიმართულებებმა მუშაობის პროცესის სწორად დაგეგმა-განხორციელებაში უდიდესი როლი ითამაშა.

ასევე მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს და მის საგანმანათლებლო სამსახურის მთავარ სპეციალისტს ქ-ნ ნანა კვიციანს, რომელმაც დამითმო დრო და შესაძლებლობა მომცა თავად დავსწრებოდი ერთ-ერთ პროექტს, რაც დამეხმარა შემქმნოდა პირადი შთაბეჭდილებები საკვლავი საკითხის გარშემო.

მნიშვნელოვანია ჩემთვის ის დახმარება, რაც საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრის მენეჯერმა ქ-ნ დარეჯან მოწენიძემ გამიწია. მადლობა მინდა გადავუხადო მას ამ დახმარებისთვის და იმ გულწრფელობისთვის, რაც ინტერვიუს დროს გამოიჩინა.